


№ 36.—1914 ფ ა ს ი 10 კ. 9 ნოემბერი



**ილია ჭავჭავაძე**
ბატონ-ყმობის მოსპობიდან 50 წლის შესრულების სახსოვ.





**ან. ფურცელაძე**
გარდაცვალებიდან ერთის წლის თავის შესრულების გამო.

# ძმანი ფურცელაძენი ბრძოლის ველზე

გენერალ მიხიელ ნიკოლოზის ძის ფურცელაძის შვილნი: 1) გიორგი, 2) ალექსანდრე, 3) ოთარი, 4) ირაკლი, 5) ერასტი, 6) სოლომონი. ხუთი მათგანი ავსტრო-გერმანიის საზღვარზეა, მეექვსე—სოლომონი—ოსმალეთისაზე. გიორგიმ პოლკი ჩაიბარა, ალექსანდრე წარდგენილია პოდპოლკოვნიკობაზე, ერასტი მძიმედ დაჭრილია, ირაკლი სამჯერ დაიჭრა (ორჯელ დაჭრილი მაინც ბრძოლის ველზე დარჩა, მხოლოდ მესამედ დაჭრის შემდეგ გადაიყვანეს საავადმყოფოში).

## № 36

## შინაარსი:


1. **მეთაური** — თვითმოქმედება 1
2. **იოსებ არიმათიელი** — მონობიდან განთავისუფლება „
3. **გ. ქუჩიშვილი** — ძიება (ლექსი) 2
4. **დავ კილოსანიძე** — მოზაიკა (ეტიუდი) 3
5. **ვ. კირვალიძე** — ცოდვამ უწიათ ჰი!.. (ზეპირსიტყვაობა) „
6. **გიორგი ჯაბადარი** — დიქცია 4
7. **კატო მიქელაძე** — კ. გ. შერვაშიძის ხსოვნას (ლექსი) „
8. **კიკნა-ფშაველა** — მე მიყვარს... (ლექსი ბალმონტიდან) „
9. **ი. კარგარეთელი** — ქვეყნის მანათობელნი „
10. **კ. ფოცხვერაშვილი** — ბრძოლის ველზე, სიმფონიური პოემა 8
11. **იოსებ გედევანიშვილი** — სინათლე, — ნაწილი მეორე (ზღაპარი-ფეერია 3 მოქ. და 7 სურ.) 9
12. **გ. ჯაბაური** — ქართულ სახალხო თეატრის ისტორია 12
13. **დრამატ. საზოგად. წლიური კრება** 13
14. **ქართული სახიობა** (დრამ. დასის ამხანაგობა, ქუთაისის თეატრი, **სახალხო სახლი, ავლაბრის სახალხო** თეატრი, ავჭალის აუდიტორია 14
15. **ნ. შიუკაშვილი** — წერილი რედაქციის მიმართ 16
16. **წვრილი ამბები** „
**სურათები; განცხადებანი;**



ჟ უ რ ნ ა ლ

**„თეატრი და ცხოვრების"**

წლიურად გამოწერისათვის ანუ ნომრობლივ შესაძენად თბილ. რკინის გზ. სახელოსნოში შეიძლება მიმართონ **ალექსანდრე ბეგლ. ძაძამიას**

(5—1)



**ხარფ. ქართ. სახ წარმ. მმართ. წრის. გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, **1914 წ.** საღამოს 8 საათზე ხარფუხის სახალხო აუდიტორიაში (აბანოს ქ. № 6) დანიშნულია გაგრძელება

**საზოგადო კრებისა**

განსახილველია: 1) წლიური ანგარიშები და 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

(1—)


**„თეატრი და ცხოვრების"**

რედაქციის დროებითი ბინა იმყოფება „სორაპანი"-ს სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძულზე, № 1). სარედაქციო საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს.

**ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"** 5 ქო-დან ამა წლის ბოლომდე გაგზავნით ჰღირს **ორი (2) მ.** ფული და მასალები უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, ред. жур. »Театри да Цховреба« **Іос. Имедашвили.**


**ავლაბრის სახალხო თეატრი**

კვირას, **9** ნოემბერს 1914 **წ.** ავლაბრის ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ მსახიობ ი. ივანიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**მემობრობა**

პიესა 4 მოქ. ნ. შიუკაშვილისა

**მონაწილეობენ**: ქ. მარგველიშვილი, ბ. ივანიძე, ჯიბლაძე, სულთანიშვილი, თავდგირიძე, ქიზიყელი, სალაყაია, ქვლივიძე, კახურაშვილი, გულისაშვილი, კობახიძე, მანჯავიძე და სხ.

**თეატრი გამთბარია და გაჩირაღდნებული**

დასაწყისი საღამოს **8** საათ.

**რეჟ. ი. ივანიძე** რეჟ. თან. **ი. რევაზიშვილი**

**მორიგე** გამგე **ა. გოჩიტაშვილი**



**ს ა ხ ა ლ ხ ო  ს ა ხ ლ ი**

**ორშაბათს, 10 ნოემბერს 1914 წ.** თბილ. ქართ. დრამ. დასის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ იქნება

**ლალატი**

ისტ. დრამ.-ლეგენდა ალ. სუმბათაშვილისა

მონაწილეობს მთელი დასი.

ადგილების ფასი 10—1 მ. 20 კ.

დასაწყისი საღ. 8 ს

რეჟისორი ა. **წუწუნავა**

# თეატრი და ცხოვრება

№ 36

წ. II

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: **Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 36 კვირა 9 გიორგობისთვე 1914 წ.


## 9 გიორგობისთვე

**თვითმოქმედება.**

დრამ. საზ. წლიურ კრების სხდომაზე ბევრი ისეთი რამ ითქვა და გამოაშკარავდა, რომ გაგეგოთ, ძალ აუნებურად წამოიძახებდით: „ვაი, სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე!“

სხვა მრავალ საქმეთა შორის დიდი კამათი გამოიწვია დასისა და გამგეობის ურთიერთობამ: ახალმა დასმა დათხოვნა „დაიმსახურა,“ გამგეობამ ნდობის გამოცხადება და თითქმის ყოველივე თავის კალაპოტში ჩადგა. ეს ბუნებრივიც არის: ყველამ თვისი საქმე უნდა აკეთოს. თვითმოქმედება, საქმის საკუთარი ძალღონით წარმოება,—აი რა უნდა იყოს ჩვენი დევიზი ყოველგვარ საქმეში. სხვისა ხელთ შეყურებას რომ არივისთვინ მოუტანია სარგებლობა, ეს ცხადზე უცხადესი ჭეშმარიტებაა: გვწამდეს, რომ მხოლოდ თვითმოქმედება მოგვანიჭებს უკეთესს მომავალს.

გამგეობის სიცოცხლის მთავარი ძარღვი დღემდე სეზონის წარმოება იყო, დღეიდან კი სხვა ასპარეზი ეშლება: სათეატრო სკოლის დაარსება, დრამატიულ ლიტერატურის გამოცემა, ტანისამოსისა და სხვა სახელსაწყოთა შეძენა, დრამ. დასის ხელისშეწყობა, ქართულ თეატრის შენობის აშენებაზე მუდმივი ზრუნვა და სხ.,—აი რას უნდა შეუდგეს გამგეობა, თუ მართლა სიცოცხლე ჰსურს და მომავალს შესტრფის.

ასევეა დასის საქმეც: გარემოებამ დიდი როლი აკისრა მას, უფრო ცოცხალი საქმე—იმღვდელმსახუროს ქართულ ხელოვნების წარსამატებლად არა მაღალ ფარდიან „სიტყვებით“, არამედ ხელოვნურად დადგმულ წარმოდგენებით, და მით ჰსწვრთნოს ქართველი ხალხის გრძნობა-გონება, ირგვლივ შუქი ჰფინოს. მაგრამ ესეც უნდა იცოდეს, რომ მხოლოდ იგი ანათებს და ათბობს, რაც იწვის, რაშიაც ცეცხლი ღვივის. თუ ახალ დასს ძალა აქვს—ამაში კი ეჭვი არ გვებადება—ახლა უნდა გამოიჩინოს იგი შეთანხმებულის, სიყვარულით აღსავსე მუშაობით. ამით იგი თავს უმეტესად ისახელებს და სამშობლო სცენასაც სარგებლობას მოუტანს.

ამ რწმენით ვუსურვებთ გამარჯვებას მსახიობთა ამხანაგობას თავისს ახალ ნაბიჯში.

## მონობიდან განთავისუფლება

**(ბატონ-ყმობის მოსპობა 1864 წ. 8 გიორგობისთვეს)**

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა,
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს,
დასათუოგვნად მონობისა!

აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში:
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!.“

**ილია ჭავჭავაძე**

ამ სიტყვებით შეჰხაროდა ნახევარი საუკუნის წინად სულმნათი დიდი ილია ბატონყმობის გადავარდნას რუსეთში, რომლის მოსპობის მანიფესტი ჩვენში გამოცხადდა 1864 წ. 8 გიორგობისთვეს.

ძირიდან, ხალხში დაწყებულმა ჩოჩქოლმა, მუდმივმა მდუღვა-უკმაყოფილებამ, უსაზარლეს წყობილების—ადამიანისაგან ადამიანის დამონების—მოსპობის სურვილმა იმდენად იმატა, რომ მეფე ალექსანდრე განმათავისუფლებელმა 1861 წ. 19 თებერვალს გამოსცა უმაღლესი მანიფესტი, რომლითაც გლეხი, მანამდე მონად ყოფილი, კაცად არ ცნობილი, ადამიანად, უფლებამოსილ მოქალაქედ იქმნა აღიარებული.

ამ აზრის მოსამწიფებლად და ცხოვრებაში გასატარებლად ევროპა-ს გარდა, რუსეთშიაც ბევრი საუკეთესო ადამიანი იბრძოდა, ხოლო ჩვენში მისი მოციქულნი იყვნენ დანიელ ჭონქაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი და სხ., რომელთაც წერილობით თუ პირადის ქადაგებით ქვეყანა მოამზადეს ახალის ცვლილების მოსახდენად.

ბატონ-ყმობის მოსპობის მანიფესტმა, როგორც ვსთქვით, ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ოთხის წლის შემდეგ უწია და როდესაც მეფის მოადგილის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის განკარგულებით 1864 წ. 8 ნოემბერს გამოცხადდა, ჩვენი გაბატონებული წოდების დიდმა უმეტესობამ თითქმის არც-კი ირწმუნა: სანამ მამა მზე (ერისთავი) ცოცხალია, ჩვენ ყმებს ვერვინ ჩამოგვართმევსო,—გაიძახოდა მათის შეგნების გამომხატველი განებივრებული კნეინა!

მაგრამ რაც ისტორიის მსჯავრმა გადასწყვიტა, შესრულდა კიდეც, შესრულდა მხოლოდ სანახევროდ.

უმიწაწყლოდ განთავისუფლებული გლეხობა ისევე მონად დარჩა: ნივთიერ შეძლებას მოკლებული, ნიადაგ სახსრის მოპოების უღელში ჩაბმული, ათასგვარ ხარჯ-ბეგარის მზიდველი გლეხობა დღესაც მონაა,—მონა უვიცობისა, გონებრივი სიბნელისა და სიდუხჭირისა!.. დღე ხალხის თავისუფლებისა და მისი სრულ ადამიანად ცნობისა ჯერ კიდევ არ გათენებულა.

მიუხედავად ამისა, განვლილმა ნახევარმა საუკუნემ პირადობის ყმობა-მონობისაგან გლეხობის განთავისუფლებით ჩვენი ქვეყანა მაინც წინ წასწია: ერთის მხრით თუ თავად-აზნაურთა შვილნი, მანამდე თითქმის ლაჩარსა თავქარიძეებად და დარეჯნებად გადაქცეულნი, მხოლოდ სხვისა ნაოფლარით—გლეხის ნაშრომით—ირჩენდნენ თავს, თვით კი უზრუნველობის მორევში ცურაობდნენ, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ თვითმოქმედების გზას შეუდგნენ, მეორეს მხრივ—ბატონის ყმობი აგან განთავისუფლებული გლეხიც რაოდენათმე ჩაება ვაჭრობა-მრეწველობის, ხელოსნობისა და სხვა საქმეში. გლეხი თანდათან წელში იშლება, თვითცნობიერდება, ერთი წოდების მაგიერ მთელი ხალხი გამოდის ერად, რომ დასცეს ის ბატონყმობა, რომლის არსებობით—ერი არ ერობს, კაცი არ კაცობს.

და ეს დრო არც ისე შორსაა!

უკვე ერთხელ უღელშვებული ხალხი ვეღარ შეურიგდება მონობას, და რავდენად ადრე გათვითცნობიერდება, შეიგნებს თვის ვინაობას, იმდენად უფრო ადრე მიაღწევს იგი გულის საწადელს.

თუკი მოძრაობა, თანდათანი განვითარება—ევოლიუცია ბუნებისა და ცხოვრების კანონია, მაშ ამ საერთო კანონს ვერც ჩვენ უგულებელვყოფთ და უნდა ღრმად გვწამდეს, რომ პირველ საფეხურს მეორე მოჰყვება,—ეს არის ისტორიის ლოღიკური დასკვნა.

ნახევარი საუკუნის წინად თუ პიროვნული ბატონყმობის მოსპობა მოითხოვა ცხოვრებამ და მისი ბორკილები მეფე—განმანთავისუფლებელმა დაამსხვრია, რითაც რუსეთის გლეხს მძიმე უღელი მოაშორა, დღეს ეროვნული ბატონყმობა უნდა შეიმუსროს და ყოველ ჩაგვრულ, დევნულ ეროვნებას თავისუფლება მიენიჭოს თავის შინაგან ცხოვრების სამართველად!

ამის ნიშნები უკვე სჩანს და გვწამს, რომ ძველის საქართველოს ნანგრევებზე ახალი საქართველო აღორძინდება...

ჩვენ ისღა დაგვრჩენია მადლობით მოვიხსენიოთ ყველა ისინი, რომელთაც ამ ნახევარი საუკუნის წინად ხელი შეუწყეს ბატონყმობის მოსპობას, ხოლო დღეს ვისურვოთ, რომ ეროვნული ბატონყმობის მოსპობის ხმა უფრო მძლავრად გაისმას მოისპოს ერთის ერისაგან მეორის ჩაგვრა...

**იოსებ არიმათიელი**

# ძიება

ჩემო ვარსკვლავო! ნუ თუ შენამდე
ვერ აღწევს ჩემი მომართვის ხმები?..
ნუ თუ მსოფლიოს აუხსნელ კითხვას
ვერც მე შევიცნობ, ვერც მე მივსწვდები!?.
ნუ თუ ცხოვრების მობინდულ ცაზე
მუდმივ ძიების საგნად დარჩები
და ამ წყურვილით ამ საშიშ გზაზე
მეც სხვებთან ერთად დავილუპები?...



# მოზაიკა

ეტიუდი:

„უმაღლესი გრძნობა გრძნობათაგან—მწუხარებაა, უმშვენიერესი სიმღერა--ჩივილია, უწმინდესი—ცრემლია“.

**ტეტმაიერი.**

ელვის სისწრაფით ომი მოედო მთელს სამშობლოს. არ დარჩენილა აქ ისეთი კუთხე, რომ მას დაუპატიჟებელ სტუმარივით არ სწვევიყო. ემზადებიან საომრად მოხუცნიც, ახალგაზრდანიც განურჩევლად, რადგან სწყდება სამშობლოს ბედ-იღბალი.

ემზადება ჯარში გასასვლელად 21-ის წლის ტიტოც. მას არ ჰშორდება ახალგაზრდა ცოლი, შავ-თვალა ელისო, რომელსაც მწუხარების ნიშნად გაუწეწია გიშრის თმები თუმცა მის ღრმა თვალებში არ მოსჩანს ცრემლის კვალიცკი, ეტყობა ნიამც, რომ მედგრად ითმენს და წმიდა მწუხარებას ღრმად ჰფლავს თვის ნორჩ გულში...

იმწუხრე, გულო, იმწუხრე: უმაღლესი გრძნობა გრძნობათაგან ხომ მწუხარებაა!

„..ღმერთო, რა შეგცოდე, ეგზომ დიდი რა გაწყინე, რად შემასწარ ამა ბედსა, რა სასჯელი მომივლინე! გამკითხველო, გამიკითხე, აჯა ჩემი შეისმინე, დაამოკლენ დღენი ჩემნი, ჭირნი ამით გამილხინე!“—გაიძახის ავთანდილი და დაეძებს გულის ფანცქალით ტარიელს, მაშინ, როდესაც ვეფხის ტყაოსანი, ძმა მისი, ცნობა-მიხდილი გადასწოლია უსულო ვეფხს მოკლულ ლომის და სისხლ-მოცხებულ ხმლის გვერდით..

იჩივლე, გმირო, იჩივლე: უმშვენიერესი სიმღერა ხომ ჩივილია!

აგერ ხუთი წელიწადია ოთხმოცის წლის სოლომონმა დაჰკარგა სრულიად უდანაშაულო ვაჟ-კაცი-შვილი, სოფლის მარგალიტი და ერთად-ერთი იმედი ოჯახისა. გულ-მტკიცედ მოუსმენია მოხუცს სასამართლოს განაჩენი, შვილის სამუდამოდ გადასახლების შესახებ, წარბიც კი არ შეჰკვრია. მაგრამ, როდესაც მას გადაეხვია მოულოდნელად განთავისუფლებული და სახლში დაბრუნებული შვილი, მოხუცს აუტოკდა გული განგების სამართლიანობისაგან და ხელიც კი არ შეუნძრევია ცრემლების გასაშრობად ..

იტირე, მოხუცო, იტირე: უწმინდესი გრძნობა ხომ ცრემლია!



**ინგლისის და გერმანიის გემების შეტაკება**

# ცოდვამ უწიათ ჯი!..

(ზეპირსიტყვაობა)

რაჭის მაზრის სოფელ ზვარეთში სცხოვრობდა ერთი მეტად ზვიადი და ამაყი კაცი იასე კირვალიძე, რომელიც შიშის ზარსა სცემდა მცხოვრებლებს.

ვისგან მოიხვეჭა ასეთი ძლიერება იასე კირვალიძემ?

ვისაც გაუგონია ან წაუკითხავს დიდი როსტომ ერისთვის ისტორია, მას არ გაუკვირდება იასე კირვალიძის ძლიერება, რადგან იასე კირვალიძე მისი პირველ ხარისხოვანი მოურავი ყოფილა. ხალხის გადმოცემით იასე კირვალიძის ოჯახიდან: „თორმეტი ძუა-ფაფარ შეღებილი ცხენი გამოდიოდა და თორმეტი ჩადრ-დახურული ქალი ჯდებოდა ზედაო.“ ეს გარდმოცემა მართალიც უნდა იყოს, მით უფრო, რომ ცნობილმა როსტომ ერისთავმა რჯული შეიცვალა და თავისი ცხოვრება თათრულ გემოზე მოაწყო. იასე კირვალიძეც როგორც მოურავი, თავის ბატონს არ ჩამორჩებოდა. იასეს ყმაცა ჰყოლია, ჰქონია დიდი ადგილ-მამული და ყმებიც, მიუხედავათ იმისა რომ თვითონ გლეხი იყო.

---

*) ბევრი გასაოცარი ამბავია ჩვენს ხალხში დარჩენილი. მათი შეკრება და გამოშზეურება, სამწუხაროდ, კუს ნაბიჯით მიდის წინას. სურველია, ძველი გადმოცემანი, ზეპირსიტყვაობად დარჩენილი ამბავნი, ისეთნი, რომელნიც, ჯერ არ დაბეჭდილა, მოგვაწოდონ.

**რედ.**

დღეს იასეს ნამოსახლზე ექვსი გლეხი სცხოვრობს. იასეს მემკვიდრეებმა (ნაშიერმა) რომ ყმა გაათავისუფლეს ადგილის შესყიდვით, მე თვითონ მახსოვს.

იასე და მისი ძმა თურმე გაშორონენ ერთმანეთს. ყველაფერი საცხოვრებელი გაიყვეს. საზიაროთ დარჩათ მხოლოდ ერთი ხაბაზი, რომელიც ხან ერთს უცხობდა პურს და ხან მეორეს.

ერთხელ იასესა და მის ძმას სტუმრები ეწვივნენ. შეიქმნა მზადება რასაკვირველია, პურის გამოცხობაც დაისაჭიროეს. ორივე ძმა უბძანებდა ხაბაზს: არა ჩემთვის უმალ გამოაცხე და არა ჩემთვისაო! ძმებს ჩხუბი მოუვიდათ და კინაღამ ერთმანეთი ამოხოცეს. გააფთრებული იასე ეკვეთა ხაბაზს, დაარტყა ხმალი, გაჩეხა შუაზე და ნახევარი გადაუგდო ძმას. ამ ამბავმა მთელი სოფელი შეაძრწუნა, მაგრამ ვინ რას გაბედავდა. მოკლული ხაბაზი იასემავე დაამარხვინა კარის ეკლესიის გალავანში. (მუხის ფიცრების ეკლესიის ნანგრევი იასეს ნამოსახლზე მე თვითონ მინახავს).

იასესა და მისი ძმის შთამომავალნი (ნაშიერი) დღესაცა სცხოვრობენ ს. ზვარეთში, მაგრამ თავისი წინაპრების აჩრდილიც აღარ არიან: ზოგი მათგანი ერთგვარი ავადმყოფობით არის შეპყრობილი: შეღამდება თუ არა, თვალით ვეღარასა ხედავენ. ერთი მათგანი რუსეთ-იაპონიის ომში ჭკუაზე შეირყა, რომლის მდგომარეობა მეტად გულსაკლავია. ყველა ეს მიზეზები ხალხის აზრით ვითომც „წინაპრების ცოდვამ უწიათ". ამას ერთვის კიდევ შემდეგი გარემოებაც: იასეს ნამოსახლზე წინად გამოჩუხჩუხებდა ცივი ანკარა წყარო. ეს წყარო დაშრა, სრულიად მოისპო. ყოველივე ეს, ხალხის რწმენით, იასე კირვალიძისა და მისი ძმის ცოდვის ბრალია, რაზედაც გაიძახიან:

— „ცოდვამ უწიათ ქი, ცოდვა შვილის შვილზე გადადისო!"

ვ. კირვალიძე

# დიქცია

## სუნთქვა

როცა მსახიობი ხმის განვითარებას სწავლობს, საჭიროა აგრეთვე სუნთქვის შესწავლაც.

პირველის შეხედვით ადამიანი იფიქრებს: რადგან სუნთქვა ბუნებრივი მოქმედებაა, ამას რაღა სწავლა უნდა, პედაგოგებს აქ რა ადგილი უნდა ჰქონდესო.

ეს ასე არ არის. ბევრმა, ძალიან ბევრმა არ იცის ხეირიანი სუნთქვა. თუ რა მნიშვნელობა აქვს სუნთქვას ჯანმრთელობისათვის, ეს სპეციალისტებმა ილაპარაკონ. ჩვენ გვინდა მხოლოდ განვმარტოთ ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს და როგორ უნდა კითხვის დროს სულის მობრუნება.

კარგად კითხვა ან თქმა მონოლოგისა, ლექსისა და საერთოდ ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც სულის მობრუნება კარგად ვიცით.

სუნთქვის კარგა ცოდნა ზოგს ბუნებითვე აქვს დაყოლილი—ე. ი. პატარეები რო იყვნენ, მასწავლებელნი თუ მშობლები ასწავლიდნენ, მაგრამ ამისთანა მაგალითი ძალიან, ძალიან ცოტაა, რადგან, სამწუხაროდ, მეტი წილი მშობლებისა ამას ყურს არ უგდებს.

მსახიობისათვის და ორატორისათვის უფრო მეტად არის საჭირო სუნთქვის კარგა ცოდნა. ვიდრე სხვა ვისთვისმე.

როცა ვსუნთქავთ, ჰაერი ფილტვებში ნესტოებიდან შედის და შემდეგ ნესტოებიდანვე გამოდის მუდმივ ერთგვარად. .

ამნაირი მიმოსვლა ჰაერისა განა საკმარისია, რომ ხმის სიმები ავამუშავოთ?—-არა.

პიანოს ვერ ავახმოვანებთ, თუ ძვალზე თითს ოდნავ დავადებთ. საჭიროა ძვალზე თითი ღონივრად დავარტყათ, რომ ჩაქუჩი აიწიოს, სიმს მოჰხვდეს და ახმოვანდეს; ასევე საჭიროა ჰაერი ღონივრად აწვებოდეს ხმის აპარატს, რომ ამ უკანასკნელმა მუშაობა დაიწყოს.

ვისაც, ჩვენში, უნახავს როგორ უკრავენ მესტვირენი სტვირს, იმან იცის, რომ თუ პა-

ტარა ტიკჭორაში ჰაერი საკმარისად არ არის, სტვირი ვერ იმუშავებს. თუ მესტვირე ტიკჭორას მკლავით არ დააწვება, სტვირი არც მაშინ ამოიღებს ხმას.

ჩვენ ვაგროვებთ ჰაერს ფილტვებში ისე, როგორც მესტვირე აგროვებს ჰაერს ტიკჭორაში, და როცა ლაპარაკი გვსურს ამ მოგროვებულ ჰაერით ვაწვებით ხმის აპარატს; ჰაერის ძალა ამოძრავებს სიმებს და ჰბადავს ხმას, ასოს თუ სიტყვას; რასაკვირველია, ამ უკანასკნელ მოქმედებისათვის უფრო მეტი ჰაერის დახარჯვაა საჭირო, ვიდრე ჩვეულებრივ სუნთქვისათვის. მაშასადამე ჰაერი, რომელსაც ჩვეულებრივ სუნთქვისათვის ხმარობენ, არ გვეყოფა იმ ენერგიისათვის, რომელიც სიტყვის შესაქმნელად არის საჭირო, თუ ზედმეტი ჰაერი არ მოვიხმარეთ; ჩვენც სწორედ ესე ვჩადივართ, როცა ვლაპარაკობთ.

მესტვირეც სწორედ ასე სჩადის.

დაგვაკლდება თუ არა ჰაერი, ხელახლად შევისუნთქავთ ხოლმე.

მესტვირეც, ჰაერი დააკლდება თუ არა, ხელახლად ჩაჰბერავს ტიკჭორას.

სამწუხაროდ, არ ვიცით ეს შესუნთქვა და შესუნთქებულ ჰაერის მოხმარება (ანუ როგორც ამას იქით ვიხმარებთ) **გამოსუნთქვა**.

აქედან ვხედავთ, რო **სუნთქვა** ორ სხვა და სხვა მოქმედებისაგან შესდგება: პირველი—**შესუნთქვა** ე. ი. ჰაერის მოგროვება და მეორე—**გამოსუნთქვა** ანუ შესუნთქულ ჰაერის დახარჯვა, მოხმარება.

ახლა ვნახოთ რაში გამოიხატება ერთიცა და მეორეც, ან როგორ შეიძლება მათი შესწავლა. პირველი მოქმედება, ე. ი. შესუნთქვა მდგომარეობს ჰაერის ბლომად მოგროვებაში, ე. ი. ფილტვებში ჰაერი ბლომად უნდა ჩავიყენოთ. თუ ჩვენ ცოტა შევისუნთქეთ, ასე რომ გავივსეთ მხოლოდ ქვემო ნაწილი ფილტვებისა, ეს საგზალი არ გვეყოფა, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენი მაღაზია ჰაერით ერთ მესამედათ ივსება; ასეთ შემთხვევაში ის მოხდება, რომ ჰაერი მალე დაგვეხარჯება, გამოგველევა და თუ—ჩვენდა სამწუხაროთ სალაპარაკო ბევრი გვაქვს, იგივე დაგვემართება, რაც იმ ადამიანს დაემართა უწყლო უდაბნოში რო წავიდა და თან დასალევი წყალი საკმარისად არ წაიღო.

ჰაერი დაგვაკლდება, წამდაუწუმ ხელახლად უნდა შევისუნთქოთ და ეს-კი ძალიან დასაღალავია როგორც ჩვენთვის, ისე მსმენელისათვის. მაშასადამე, პირველი მოვალეობა **მსახიობისა**, ორატორისა, ლექტორისა ის არის, რო სანამ ლაპარაკს ან კითხვას დაიწყებდეს, კარგად შეისუნთქოს, ჰაერით ფილტვები კარგად გაივსოს!

აბა მესტვირეს დააკვირდით: მინამ დაკვრას დაიწყებდეს, ტიკჭორას რა რიგად აავსებს ხოლმე ჰაერით,—ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ.

შემდეგ იწყობა მეორე მოქმედება—**გამოსუნთქვა**, ე. ი. მოგროვებულ ჰაერის დახარჯვა. ეს მოქმედება პირველზე გაცილებით ძნელია, მსახიობი ამ მოქმედებას უფრო მეტის ყურადღებით უნდა მოეპყრას.

ცუდი მსახიობი ცოტას შეისუნთქავს და ბევრს გამოსუნთქავს ისიც ერთბაშად, უზომოთ, უანგარიშოთ, უწესრიგოთ; მოგროვილ ჰაერს უბრალოდ ჰხარჯავს, იმის მაგივრად, რომ გამოზოგვით და ხელოვნურათ დახარჯოს.. ამ შემთხვევაში რა მოხდება ხოლმე! ის, რასაც ყოველდღე ჰხედავთ, რაც ყოველდღე გესმისთ, რომ მსახიობთა და მკითხველთა მომეტებული ნაწილი იძულებულია შეისუნთქოს თითქმის ყოველსავე სიტყვის შემდეგ, მარდათ, უშნოდ სხვისა და თავის თავის დასატანჯავად. გარდა ამისა, ან წამდაუწუმ შესუნთქვით მსმენელს ფრაზის აზრს უკარგავს და თავის როლსაც აფუჭებს; ამისთანა მსახიობი საზოგადოებას არ მოსწონს. რას იტყვით იმ მესტვირეზე, რომელიც წამდაუწუმ ტიკჭორას ჩაბერავს. მოგეწონებათ ასეთი მესტვირე? არა მგონია. წარმოიდგინოთ მესტვირე, რომელმაც ტიკჭორა ჰაერით საკმაოდ არ გაბერა. ამ მესტვირეს აქვს სათქმელი ან სამღერალი ეს სტრიქონები:

„მის დროს იყო ყეინობა,
მეფე ყეინს ჰმორჩილებდა,
მაგრამ თავის ქვეყნის საქმეს
თვის ნებაზე განაგებდა."

(ილია ჭავჭავაძე. „მეფე დიმიტრი თავდადებული")

მესტვირემ დაიწყო: „მის დროს იყო ყეინობა, მეფე ყეინს ჰმორჩილებდა, მაგრამ თავის ქვეყნის საქმეს." აქ ჰაერი შემოაკლდა და ხელახლად ჩაჰბერა, მერე ისევ იმავე ხმით, ვითომც აქ არაფერიაო, განაგრძო: „თვის ნებაზე განაგებდა,".

„ერთ ჩემს ნაცნობ სათეატრო არტისტს ჰქონდა ეს ნაკლი: წამდაუწუმ შეისუნთქავდა ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ სასიამოვნო, ტკბილი ხმა ჰქონდა, მისი ყურის გდება დასატანჯავი და აუტანელი იყო. შესუნთქვის ხმაურობა ერეოდა სიმღერაში და ამითი მუსიკის ყოველივე სიმშვენიერე-სილამაზე იკარგებოდა. შეიმჩნია ეს ნაკლი თუ არა, იმ წამსვე შეუდგა მის გასწორებას და ძალიან ცოტა ხანშიაც გაისწორა“. (ტორდოზ *).

ეს მაგალითი ამტკიცებს იმას, რომ შესუნთქვის და გამოსუნთქვის ანუ **სუნთქვის** სწავლა შეიძლება ისევე, როგორც ხმის განვითარების სწავლა, პიანოს დაკვრა და სხვა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**გიორგი ჯაბადარი**

---

**კონსტანტინე გრიგოლის-ძის**

**შერვაშიძის ხსოვნას**

ბრძოლისა ველზე გალაშქრებული
ომმა იმსხვერპლა გმირი-მხედარი.
მაგრამ ეგ მსხვერპლი სასახელოა,
სხივ-ნათელია და არა მკვდარი.

——

ეგ თავმდებია, რომ კვლავ გვიდგია
უკვდავ წინაპართ დიდი სული,
რომ საქართველო გმირთ აკვანია,
რა რიგ არ იყოს დამონებული.

——

მხედარს არ შვენის ფუფუნებაში
ბეჩავ-საბრალოდ ჰპოვოს სიკვდილი,
ლაშქართა ველზე, მედგარ ბრძოლაში,—
აი, სად კვდება მამულიშვილი.

**კატო მიქელაძე**

(*ტორდოზ — Comedie francais — თეატრის მსახიობი. ბრიუსელის კონსერვატორიაში დიქციის მასწავლებლად იყო. ტორდოზმა წერა Pronciation (გამოთქმა). ამ წიგნით ჩვენც ვსარგებლობთ. ტორდოზი გარდაიცვალა აგვისტოში 1910 წელს.

# მე მიყვარს...

(კ. ბალმონტიდან)

მე მიყვარს მდელო ტყისა
სურნელოვანი,
კოცნის და შვების ხმისა
ხმა ბუნდოვანი;
ძახილი ზარებისა
შორად ბნეული,
მთვლემავ წნორთა წყებისა
წყაროსთან რული.
გამკრთალ სახეთ იერი
უცნობნი სრულად,
ზღაპართ ჯადო ხნიერი
არა ხორცსხმულად.
რაც გვიტყუებს, რაც გვატყუებს
გამოცანებით
და სამუდამოდ გულს აბრუებს
იდუმალებით.

**კიკნა-ფშაველა**

---

# ქვეყნის მანათობელნი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 35)

აი კიდევ მოცარტი. პატარა ვოლფგანს დაკვრა არსად უსწავლია. ოთხი წლისა იქნებოდა ვოლფგანგი, როცა მისმა მამამ დაიწყო მუსიკის მეცადინეობა უფროს ქალთან;



**ამაბეი ვოლფგანგ მოცარტი**

პატარა მოცარტი თავის დის მეცადინეობას თვალ-ყურს ადევნებდა და აქ შეისწავლა დაკვრა. შვიდი-რვა წლის ბავშვი ისე დახელოვნებით უკრავდა ფორტეპიანოზე, რომ

ზღვისა და ხმელეთის მბრძანებელი გვირგვინოსანიც კი განცვიფრებაში მოჰყავდა... ერთხელ რომში პეტრე-პავლეს ეკლესიაში მოისმინა წირვა იმ საგალობლებით, რომლებიც აღკრძალული იყო სხვა ეკლესიებში ეგალობნათ;მოსმენა წირვისა და ზეპირათ დასწავლა ერთი იყო; მოვიდა შინ თუ არა, მაშინვე შეუდგა წირვის საგალობლების ნოტებზე გადმოღებას. და ის საგალობლები, რომლებიც მანამდე პეტრე-პავლეს ტრაპეზზე იყვნენ დაჯაჭვულნი, დღეს საყოველთაოდ გარდიქცნენ. შორს წაგვიყვანს ამ ჰენიოსზე ლაპარაკი, მისი მოკლე ცხოვრება ერთობ საზღაპრო რამ არის; თუმცა ვოლფგანგ მოცარტი, ჯერ კიდევ სიცოცხლით აღსავსე, ოცდა თხუთმეტის თუ თექვსმეტის წლისა, წუთი სოფელს გამოესალმა, მაგრამ რაც იმან მოანიჭა კაცობრიობას, იგი არც წარიხოცება და უაღრესადაც გვანუგეშებს.



**ტომას ედისსონი**

აი თუ გნებავთ ედისსონი. ბავშმაც კი იცის იგი, მაზედ მოუბნობს კაცი და ქალი, თაყვანისცემით წარმოითქმის მისი სახელი. მთელ ქვეყანას მოედო მისი საქციელი. თუ როგორ უნდოდა ედისსონს წიწილები გამოეჩიკნა. ჯერ კიდევ ხუთის წლის ყრმა—გარდმოქვცემს მისი მემატიანე.—დააფიქრა იმ გარემოებამ რომ კვერცხებიდან, რომელიც მას არა ერთი გაუტეხია და შიგ ცილისა და გულის მეტი არა უნახავს რა, წიწილები გამოდიან. შინაურებმა ბევრნაირად აუხსნეს ბავშვსა, თუ როგორ გამოჰყავს ქათამს ჩამომავლობა თავის ტანის სითბოთი კვერცხებიდან. ედისსონი ამას არ დასჯერდა: ერთ მშვენიერ დღეს თავის საყვარელ დედიკოს მოჰპარა რამდენიმე კვერცხი, ავიდა სათივეზე, დააწყო კვერცხები და დააჯდა ზევიდან ფრთხილად. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, არსად სჩანს, დაიკარგა ბავშვი. ერთი დღე-ღამის შემდეგ ძლივს მიაგნეს ბავშვს სათივეზე, რომელიც დინჯად იყო გამოჭიმული და ელოდა წიწილების გაჩენას... შვიდის წლისა იგი ვაჭრობდა გაზეთებით რკინის გზაზე და თვალ-ყურს ადევნებდა მკითხველს რა ინტერესებს და რას უფრო ეტანება. ამ დაკვირვებას ის მოჰყვა, რომ მისმა ვაჭრობამ ერთი ათად იმატა. მასთანავე იგი ბევრს კითხულობდა! თორმეტი წლის ედისსონმა გადასწყვიტა გარდაეკითხა ის რამდენიმე ათასი წიგნი, რომელიც იმის ქალაქის წიგნთ-საცავში ინახებოდა. აბა ვინ ურჩევდა, რა რიგზე წაეკითხა წიგნები! აქ თითონვე გამოიგონა გეგმა კითხვისა: ედისსონმა დაიწყო წიგნების კითხვა იმ რიგზე, როგორც დალაგებული იყო შკაფებში. ამავე დროს ედისსონმა რკინის გზის მოსამსახურეთა დახმარებით ბარგის ვაგონში გამართა ქიმიური ლაბორატორია, სადაც მუყაითად შეუდგა სხვა და სხვა ცდას და ქიმიის შესწავლას. ერთის სიტყვით ყრმა ედისსონის ცხოვრება—ცხოვრებაა ჰენიოსისა, წყურვილი ცოდნისა, ცხოვრებაა გამოგონებისა, დაუღალავი საქმიანობისა და შეუდრეკელი ყოველივე დაბრკოლების წინაშე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ი. კარგარეთელი**



**ბელგიელი ჯარის კაცნი**

# ომში დაჭრილნი




პოლკ. თავ. კონ. ვაჩნაძე
(მოკლულია)



პორ. ვ. ლ. სიხარულიძე



შტ.-კაპ. თ. გ. ზ. ჯაფარიძე




პოდპ. თ. ი. თუმანიშვილი



ფლ.-ად. თ. გ. ნ. ერისთავი



პორუჩ. იუ. ახვლედიანი

## ბრძოლის ველზე

(სიმფონიური პოემა კ. ფოცხვერაშვილისა)

...ორკესტრის სიმთა ჯგუფი ცრემლად დნება, სტირის და დაუსრულებლად მოსთქვამს კაცთა ნათესავის მხედრობის დამარცხებას ბოროტ ქაჯთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მთელი მიდამო განადგურებულია და მხოლოდ აქა-იქ სასიკვდილო ოთ დაჭრილთა კვნესა და გმინვა-ღა ისმის.

ვოლტორნის გაბმულ პედალზე ფაგოტი მომაკვდავ მთავარსარდლის ტანჯვას აგვიწერს. უფრო მსუბუქად დაჭრილი მეომარი სარდალს იარას უხვევს და ანუგეშებს, მაგრამ ამაოდ.. ღონე წართმეულნი ორივე მახლობელ გაცივებულ გვამს დაეყრდნობიან. . ხის საკრავთა ჯგუფი გახმაურდა. კლარნეტი სეპტიმებზე აგებულ ჰანგს წამოისვრის, რომელსაც პირმოკუმული საყვირი ყრუდ უპასუხებს ვით შორის სერიდან ანაზდეული გამოძახილი ..

გვიშველეთ, გვიშველეთ, ვკვდებით უპატრონოდ... სადა ხარ შენ ღმერთო, შემქმნელო ცისა და ქვეყნისაო!.. ყოვლად ძლიერო დასაბამო კეთილისა და კაცთმოყვარევ! რად სდუმხარ, რად არ მოევლინები ტანჯულთ მწე-მფარველად: ესენი ხომ შენი სახელით და შენივე წაქეზებით ეკვეთნენ ბოროტებას, რათა განმტკიცებულიყო მეუფება კეთილისა..

სიმთა ჯგუფი ჰანგსა სცვლის და სრულ პიანისსიმოზე გადადის, ვიოლონჩელი ხსნის მოტივს იწყებს. პირველი ვიოლინოს ზევითა ფარდების ხმები, შორს სივრცეში, კეთილ სულს ესალმება და გზას ულოცავს. დაჭრილი სარდალი მას აუწერელი სიხარულით და იმედით შესცქერის. ორკესტრში მძლავრი სამხედრო კილო წამოიჭრა, ლითონთა საკრავნი მას ძალზე განამტკიცებენ...

კეთილი სულის უკან მოსჩანს ახალი მხედრობა კაცთა ნათესავისა, რომელსაც წინ უძღვიან დაჭრილი სარდლის სატრფო, მოხუცი მამა და გმირ წინაპართა აჩრდილნი. ხმათა აღტაცება თანდათან ძლიერდება, ახლოს არის გზა-ხსნისა.. გამარჯვების იმედიც კიაფობს და... ძლიერი ფორტისსიმო ყრუდ მოსწყდა... და განჰქრა ჩვენება... გარშემო უკუნი ბნელი ჩამოწვა.. შორიდან მშიერ მხეცთა ყმუილი მოისმის... ორკესტრი კვლავ ჰგოდებს და მოსთქვამს... სამგლოვიარო ჰანგი თანდათან ძლიერდება... მახლობელ კლდეს შავფრთიანი მძლავრი ქარიშხალი მოსწყდა. ღრუბელნიც წამოიშალნენ.. ჰეი, ჰეი, ჰეი... უუუ... ხა,ხა,ხა, ხააა!

ვაი და ვუი კაცთა ნათესავს.

დადგა აღსასრულის დღე...

ორკესტრი სჭექს და ჰქუხს, ხშირი ელვააა... სდუმს ღმერთი ყოვლად ძლიერი კეთილი და კაცთმოყვარე, ხოლო ქაჯთა მეუფე მთის მწვერვალიდან დაჰხარხარებს განადგურებულ ბრძოლის ველს... **კ. ფოცხვერაშვილი**



# სინათლე

## ნაწილი მეორე

(ზღაპარი-ფეერია 3 მოქ. და 7 სურათად)

**მომქმედნი პირნი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ავთანდილი** — მეფე | **პირიმზე** | ფერიები | **II რაზმის უფროსი** |
| **სახლთუხუცესი** | **მთვარია** | ფერიები | **მეომარი** |
| **ვეზირი** | **ბროლისახე** | ფერიები | **მეწისქვილე** |
| **ქაჯთა მეფე** | **ნათელა** | ფერიები | **საბედო** |
| **ჯადოსანი**, მისი დედა | **ანკარა** | ფერიები | **არსენა**, მისი შვილი |
| **უფროსი ეშმაკი** | **წკრიალა** | ფერიები | **I, II და III გლეხი** |
| **I და II ეშმაკი** | **I და II** კ..რის **კაცნი** | | **მეომარნი, ავი და კეთილი** |
| **ეშმაკი** — შიკრიკი | **I და II პატიმარნი** | | **სულნი, გლეხნი, მეფის ამალა.** |
| **სხივოსანი**, ფერიათა დედოფალი | **I რაზმის უფროსი** | | |

### მოქმედება პირველი

#### სურათი პირველი

ქაჯთა სამეფო. გულშემზარავი სურათი. დაბურულსა და უცნაურ ტყის ჯურღმულში ფართო გამოქვაბული. საზარელი ქმნილებანი დაძრწიან, დაცოცავენ. დრო-გამოშვებით ისმის რაღაც სისინი და ხმაურობა. გამოქვაბულში შავად შემოსილი ქაჯთა გუნდი მოსთქვამს, დანარჩენნი ბანს აძლევენ. მუსიკა სასოწარკვეთილებისა და შესაზარი. გამოქვაბულის წინ მარჯვნივ უცნაური კუნძი გდია. **უფროსი ეშმაკი** გამოქვაბულის ცოტა შორი-ახლოს წევს, მის ახლოს **პირველი** და **მეორე ეშმაკი**.

**ქაჯები** (ერთად) ცუდათ არის საქმე ჩვენი,
არსაიდან გვიჩანს შველა,
ვერას გავხდით, ვიღუპებით,
აგვიმხედრდა ერთად ყველა!

**ყველანი** ვიღუპებით, ვიღუპებით,
აგვიმხედრდა ერთად ყველა!..

**ქაჯები**. დიდება და გამარჯვება
ქაჯთა მეფეს — ჩვენსა მხსნელსა,
ძლიერია, მხოლოდ იგი
აგვაშორებს განსაცდელსა!..

**ყველანი**. ძლიერია, მხოლოდ იგი
აგვაშორებს განსაცდელსა!..

**პირ. ეშმაკი**. ე-ე, ძამიავ! ჩვენ სულს ძლივს-ღა ვღაფავთ და შველა-კი როდის იქნება, რა მოგახსენო...

**მეორ. ეშმ.** ფეხს ვერსად გადადგამ... იმ დღეს გამიწყრა ჯოჯოხეთის მადლი, ჩვენს საზღვრებს ცოტა გავცილდი და ბელზებელის ორს ჯარის კაცს შევხვდი... დამინახეს თუ არა, დამკრეს კიჟინა, დამიფრინეს... „ჰაი, თქვე ლაჩრებო, მხდალებოო .. სირცხვილით გარედ როგორ გამოდიხართო“ .. დამედევნენ, სულ კუდით ქვა მასროლინეს..

**პირ. ეშმ** მა რა გგონია... აქლემების ჩხუბში კოზაკი იჭყლიტებოდაო, ნათქვამია... მეფეთა მეფე ბელზებელი, დაილოცა მისი მადლი, ჩვენს მბრძანებელს ემტერის, კარგად ვერ მოიქეციო, ჩვენკი ლამის არის სული ამოგვხდეს...

**უფრ. ეშმ.** დაიწყეთ ისევ ყბედობა?.. ემანდ ხმა გაიკმინდეთ. . რა თქვენი ჭკუის საქმეა... თქვენმა თავის გახეთქამ ჩვენს ბრძენს მეფეს ჭკუა არ ასწავლოთ... (პირველ ეშმაკს) გასწი აირბინე სერზე. შიკრიკი მოგვიახლოვდებოდა, სადაც არ ს გაჩნდებს... მეფემ ბრძანა, რა წამს შიკრიკი გაჩნდეს, შემატყობინეთო... (პირველი ეშმაკი გავ.— ყველას) თქვენ ეი, ცხვირები რას ჩამოგიშვიათ... ისე როგორ დაეცით და დალაჩრდით, რომ აღარაფრის იმედი გაქვთ? მაინც და მაინც იმოდენი ძალა კი შეგვწევს, რომ სუსტს და მომაკვდავ ადამიანებს მოვერიოთ... თორემ ჯოჯოხეთი რაღა ჯოჯოხეთი იქნებოდა!..

**მეორ. ეშმ.** რა ვქნათ, ბიძია!.. იმედი დავკარგეთ... რაც ის ოქროს შანდალი ხელთ ჩაიგდო ავთანდილმა, იმ დღიდან თავქვე წავიდა ჩვენი ცხოვრება: არც გამორჩენა, არც სიხარული .. ვყრივართ აქა და დღე-დღეობით დავწუწუნებთ... დრო კი მიდის: იმათმა ორმა-სამმა შთამომავლობამ სიცოცხლე მოიჭამა და ჩვენს საქმეს კი გამოსწორება არა ეტყობა რა...

**უფრ. ეშმ.** შენ, ეი, აქ მოეხირე! (მეორე ეშმ. მიუახლოვდება) გამიგონე... დღეს ჩვენი ბატონ-პატრონი კარგს გუნებაზედ არის... ალბად აპირებს რასმეს... სამი წელიწადია ხმა არ ამოუღია, თავის დედასთანაც კი უმძრახად იყო: ახლა კი ეხუმრა და უალერსა კიდეც... ჯადოსანმა ისარგებლა და შესჩივლა: ვიღუპებით, სარჩო საბადებელი აღარ გაგვაჩნიაო...

**მეორ. ეშმ.** მერე ბიძია, ბატონმა რაღა უთხრა?.. ვინ იცის გაბრაზდა..

**უფრ. ეშმ.** არა, არა... ერთი თავისე ბურად ჩაიხარხარა.. მალე, მალე, დედი, ერთს დიდს საქმეს შეუდგები და, თუ მოვიგე, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო...

**მეორ ეშმ.** ეი, პა, პა, პა... გოგრა კი ძალიანი აქვს... გამოიგონებდა რასმეს...

**უფრ. ეშმ.** (საიდუმლოდ) ყური მოვკარ: დღეს მეფეთა მეფის ბელზებელის ბრძანება მოსვლია—პატიებას უთვლის და უბრძანებს გაილაშქრეო. .

**მეორ. ეშმ.** ი შიკრიკი საიდან-ღა მოდის?..

**უფრ. ეშმ.** ოცი წელიწადია ავთანდილის სამეფოს ჩვენი მზვერავი უთვალთვალებს... რაც ჩვენი განთქმული წანაპირი გველეშაპი იმ სამეფოში დაიღუპა, მას აქეთია ჩვენმა ბატონმა სამეფოს მზვერავი მიუყენა... აქნობამდისინ ამბავი არა მოგვდიოდა ა; ახლა მზვერავს შიკრიკი გამოუგზავნი ძბის შესატყობინებლად... (შემოდის პირველი ეშმ.)

**პირ. ეშმ.** ბიძია, გამოჩნდა შიკრიკი.. ისე მოფრინავს, როგორც შავარდენი... აბა მეფეს შეატყობინე. . (უფროსი ეშმაკი გვერდით გავა) ძამიავ! ალბად რაღაც ამბავია... ნეტავი შიკრიკი რას მოგვიტანს?..

**მეორ. ეშმ.** ძმაო, ჩვენს მეფეს დიდი რამ საქმე განუძრახავს... ძაან ემზადება... ალბად ავთანდილის სამეფოსკენ თუ გავილაშქრებთ...

**პირ. ეშმ.** გაილაშქრებ, მე შენ გითხრა, დიდი ჯარი კი გვყავს... რაც ოქროს შანდალი ავთანდილმა ხელთ იგდო, ფერიებმა მუსრი აგვადინეს, გაგვანადგურეს, დაგვაუძლურეს.. არ გახსოვს ერთს წელს მთელი ჩვენი ჯარი კლდეზე გადაჩეხეს?..

**მეორ. ეშმ.** ფიქრი ნუ გაქვს... დღეს ბელზებელის ბრძანება მოსვლია... ალბად მეფეთა მეფე ჯარს უგზავნის და წყალობას უთვლის... აგერ მოდიან... (უცნაური საჭარო მარში, ქარიშხალი და ქუხილი. სცენაზე წითელი სინათლე. გამოდიან **ქაჯთა მეფე, ჯადოსანი, უფროსი ეშმაკი და ქაჯთა ამალა**)

**ქაჯები და ეშმაკები** (ერთად)

ვაშა, ვაშა ქაჯთა მეფეს,
დიდება და გამარჯვება!
მეხსა დასცემს, ქარს დაჰბერავს
და ქვეყანა გამტვერდება.
მტერს რისხვა და ჩვენ კი შველა,—
თავდებია თვით სატანა!..

**ქაჯთა მეფე.** ბელზებელ, ბელზებელ!..

**ყველანი.** ბელზებელ, ბელზებელ!... (ქაჯთა მეფე კუნძზე ჩამოჯდება, ჯადოსანი მის ფეხთ დაჯდება, უფროსი ეშმაკი გვერდით, ამალა ორივ მხარეს. შემოდის ეშმაკი-შიკრიკი)

**ეშმ.--შიკრ.** (დაემხობა) დიდება და გამარჯვება ქვეყნის მბრძანებელს!..

**ქაჯ. მეფე.** ძლივს... ჩხირი კედელს... ჯოჯოხეთი გაგიწყრათ?.. აქნობამდისინ ერთს სიტყვას მაინც ვერ მოგვაწვდიდით?.. რა ჰქენით? რა ამბავია? თუ ხელცარიელი მოდიხარ?..

**ეშმ.-შიკრ.** დიდებულო, დაილოცა მეფეთა მეფის სახელი და შენი გამჭრიახი გონება და ნიჭი... როგორც იწინასწარმეტყველე, სწორედ ისე მოხდა... მეფე ავთანდილმა სული ჩვენსკენ მოიბრუნა...

**ქაჯ. მეფე** როგორ?.. ნუ თუ?..

**ეშმ -შიკრ.** შენმა მზვერავმა დამაბარა მოგახსენო: თუ წინად ხალხი ავთანდილის სახელს ლოცულობდა, ახლა მისი სახელით ბალღებს აშინებენო... დიდი აურზაურია.. დღე ისე არ გაივლის ოციოდე ქალ-ვაჟს თავი არ გააგდებინონ და რამოდენიმე ხეზე არ ჩამოჰკიდონ... ავთანდილს მუდამ ღალატი ელანდება. ახლოს, ათიოდე ერთგულ კარის კაცი გარდა, არავის იკარებს, არავის ენდობა .. მთელს სამეფოში ვაი და ვუი ისმის... ხარჯებმა ერთი ათად იმატეს... გააფთრებული გზირ-იასაულები დღე და ღამ დაძრწიან მთასა და ბარში და ხალხს ისე მკიან, თითქოს

ოქროს თავიანი თავთუხი იყოსო.,. თვით ავთანდილმა ამოიყარა გველეშაპის ჯავრი.

**ქაჯ. მეფე.** ოქროს შანდალი და ფერიები? ..

**ეშმ.--შიკრ.** ოქროს შანდალი რა ხანია ჩაქრა, აღარ ინთება... ერთხელ ავთანდილმა აანთო, გაჩნდნენ ფერიები, უბრძანა იცეკვეთო... არ იცეკვეს, ავთანდილის უკმაყოფილონი იყვნენ, რადგანაც მან ფიცს უღალატა, მათი სურვილისამებრ არ იქცეოდა... გაბრაზდა მეფე, მიუსია ფერიებს თავისი ამალა, „თქვენთვის მიჩუქებია ფერიებიო.“ დაეცნენ ფერიებს კარის კაცნი, გაქრა შანდალი, გაქრნენ ფერიები და მას აქედ აღარ ინთება შანდალი და აღარ უკრავს სალამური...

**ქაჯ. მეფე.** მერე, მერე?..

**ეშმ.-შიკრ.** ავთანდილი, რა თქმა უნდა, უფრო გაბრაზდა, დაანარცხა შანდალი ქვას, მაგრამ ვერა ავნო რა... უხმო მჭედლებს, მიადგნენ მჭედლები დიდი ხვეღებით, დაჰკრეს შანდალს, მაგრამ მაინც ვერა ავნეს რა... ავთანდილმა მიუვალ კლდეზე ააშენებინა რკინის კოშკი, შანდალი, ტალკვესი და სალამური შიგ ჩააკეტინა ფოლადის კლიტეთი და მიუყენა დარაჯნი... „თუ ჩემთვის არა— არც არავისთვისაო“, გაიძახის ავთანდილი.—

**ქაჯ. მეფე.** დაილოცა ბელზებელის სახელი!.. დიდია მადლი და წყალობა ჯოჯოხეთისა... ქაჯებო, ახლა კი დადგა ჩვენი დრო! (გაშლის ხელებს) ახლა კი აღსდეგით, ჩემო გმირებო, დადგა დრო შურისძიებისა!.. (ყოველ მხრიდან წამოდგებიან შავად შემოსილი, ნახევრად შიშველნი, მხეცებივით მეომარნი) შევსწიროთ მადლობა დიდებულს ბელზებელს და მის ერთგულს ძმას სატანას.. (გულშემზარავი, ჯოჯოხეთური მუსიკა. ყველანი წამოდგებიან. გამოვარდება ეშმაკთა გუნდი და უცნაურად ცეკვავს. გაათავეს ცეკვა)

**ქაჯ. მეფე.** ქვესკნელის ძალნო, ჯოჯოხეთს მკვიდრნო!

თქვენ დაულოცეთ გზა ჩვენს ლაშქარსა!

**ყველანი.** ჰე ჯოჯოხეთო! მადლით მოსილო,
ჰე, ბელზებელო მნათო ჩვენთვინა,
დალოცეთ ჩვენი მეფის მარჯვენა,
რომ გამარჯვებით ვიდოდეს წინა!

**ქაჯ. მეფე.** ბელზებელ, ბელზებელ?..

**ყველანი.** ბელზებელ, ბელზებელ!..

(უცნაური კოკოფონია, ქუხილი)

**ფ ა რ დ ა.**

ი. [illegible]

# ქართულ სახალხო თეატრის ისტორია

(გაგრძელება.—იხ. „თ. და ც.“ № 35)

ავჭალის ქუჩაზე შემჩნეულ სახაიეს შენობის დათვალიერების შემდეგ, ამხანაგობამ შეიტყო, რომ თუ ნ. ა. ხუდადოვმა მოინდომა, შენობას უსათუოდ დაგვითმობენო, ამხანაგობამ ამოგვარჩია ოთხი პირი: 1) ვასო ჯანიაშვილი (თევდორაშვილი), 2) ამირან ნიკოლოსოვი, 3) გიორგი ჯაბაური და იოსებ იმედაშვილი. წავედით აწ განსვენებულ ექიმ ნ. ა. ხუდადოვთან მოსალაპარაკებლად. აუხსენით, რომ ხელოსანთა ამხანაგობას აზრათ აქვს სახალხო წარმოდგენების მართვა, სურს თეატრს შეაჩვიოს ის ხალხი, რომელსაც კვირა-უქმეებსა და სხვა დროს დილიდან საღამომდის სარჩოსათვის თავი ვერ დაუხწევია; აუხსენით ისიც, რომ ამხანაგობა კარგა ხანია რაც მართავდა ამ გვარ სახალხო წარმოდგენებს და უადგილობისა გამო ძლიერ ეწვალებოდა.

ექიმს ხუდადოვს ძალიან მოეწონა ჩვენი ნალაპარაკევი და სიცილით გვითხრა: ეგ კარგია ბიჭუნებო! აბა ეცადეთ, ეცადეთ. წადით, თქვენ მოემზადენით და მე ვეცდები, წარმოდგენისთვის ქალაქს ეგ შენობა დაგვათმობინოთ. როცა მოემზადნეთ—ჩემთან მოდითო.

ამ ამბავმა ჩვენ ყველანი ძრიელ აღგვაფრთოვანა. სიხარულით ფეხზედ აღარ ვიდ ქით. ახლა უკვე მოვშორდებოდით უბნებში შიშით წარმოდგენების მართვას, მუდმივ სივიწროვესა და უბინობას.

ავირჩიეთ „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, დავიწყეთ პიესის მომზადება. გახურდა რეპეტიციები, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ქალი არა გვყავდა კატინეს როლის სათამაშოდ*). ბოლოს,

*) მაშინ ქალები სათოფედ არ გვეკარებოდნენ, რადგანაც მდაბიო ქალებს სასირცხვილოდ მიაჩნდათ სცენაზე თამაში, ხოლო მაღალი წრის ქალი რას გვიკადრებდა მუშებს!

როგორც იქნა, ვიპოვნეთ ერთი მოსარეცხე დედაკაცი, გვარად იმედოვი, რომელმაც ქართული წერა-კითხვა არ იცოდა, დავითანხმეთ 3 მანათად და კატინას როლი სულ ზეპირად შევასწავლეთ. გაიჩარხა საქმე. ამ დროს კიდევ შემოგვემატა ილიკო სუხიშვილი. მოვამზადეთ პიესა და წავედით ზემოხსენებულ ექიმ ნ. ა. ხუდადოვთან.

ნ. ხუდადოვმა მიგვიწერა თავადის ასულს მ. ა. არღუთინსკისთან. იქ გავიცანით ვ. დ. ქართველიშვილის ასული (მიქაბერიძისა).



**1) ვერა დავითის ასული ქართველიშვილი (მიქაბერიძისა)**, რომელმაც პირველმა გაუწოდა ხელი მუშა-ხელოსნებს და სახალხო წარმოდგენების მართვას ხელი შეუწყო პირადის შრომა-დახმარებით.
**2) მარიამ თ-დ. ალექს. არღუთაშვილის (არღუთინსკის) ასული**, სახალხო წარმოდგენების პირველი ხელის შემწყობი.

ვერა დავ. ქართველიშვილის ასულმა, როცა ჩვენი მიზანი გაიგო, აღტაცებით მიგვიღო და ამ სიტყვებით მოგვმართა: სად ხართ, ყმაწვილებო? თქვენისთანა ხალხს დავეძებთო.« ამ ორივ ქალის შემწეობით ვიშოვეთ ნებართვა წარმოდგენის გამართვისა და შენობაც დაგვითმეს.

მაშინ სახაიე გაყოფილი იყო ორ ნაწილად, ცალმხრივი კედლით. ერთ ნაწილში მოთავსებული იყო ჩაის ასადუღებელი კუბი (ხორველობის დროს ჩაის ადუღებდნენ), მეორეში ხალხი სხდებოდა. ჩვენ საჭიროდ ვსცანით, ის კედელი და ჩაის ასადუღებელი კუბი დაგვენგრია და სცენა ისე გაგვეკეთებინა. თქმა და საქმის დაწყობა ერთი იყო, შეუდექით საქმეს და დავიწყეთ მუშაობა. ყველანი ერთსულად და ერთგულად ვმუშაობდით. ამ საერთო სიხარულსა და სიცილ-ხარხარში ვერც კი გავიგეთ ისე მოვასუფთავეთ იქაურობა. მაგრამ ცოტა არ იყოს შეგვცივდა და პურიც მოგვშივდა, ჯიბეში კაპეიკი არც ერთს არა გვქონდა. ასე 10 საათი იყო რომ მიწის გადაყრა გავათავეთ. სად იყო და სად არა, გაჩნდა დათი-



**დ. რ შველიძე**
დამსახურებული სცენის მოყვარე, პირველი ხელის შემწყობთაგანი სახალხო თეატრის აღორძინებისა.

კო შველიძე და მშიერი კუჭი იმან გაგვითბო ჩაით. მართლაც სწორე უნდა სთქვას კაცმა და დათიკო შველიძე ამხანაგობას ხშირად ეხმარებოდა ნივთიერად. გათენდა მეორე დღე. ახლა ჩვენთვის სცენა იყო საჭირო (გრძელი სკამები შიგვე იყო ძველათვე დარჩენილი), შეუდექით სცენის გაკეთებას, გადმოვიტანეთ ზურგით იქვე მახლობელ ქარხნიდან ფიცრები. ხელოსანი აღარ დაგვჭირდა, რადგან ხელოსნები ჩვენვე ვიყავით და მალე სცენაც მოვამზადეთ, რაც 17 მანათი დაგვიჯდა.*) სცენა გავმართეთ, მაგრამ დეკორაციები არა გვქონდა. ამაშიაც დაგვეხმარა მ. ა. არღუთინსკის ასული, და მისის შემწეობით დეკორაციები ძველი კრუჟოკიდან მოვიტანეთ.

ასე ამ ნაირად თეატრი მოვამზადეთ, და პირველი წარმოდგენა ქართველ ხელოსანთა ამხანაგობის სახელით გაიმართა ავჭალის ყოფილ სახაიეში 1893 წელს (ენკენისთვეში), დაიდგა ზემოხსენებული „რაც გინახავს—ვეღარ ნახავ“. ეს წარმოდგენა გაიმართა უფასოდ, ხალხი დიდძალი მოგვაწყდა, თეატრში ადგილი აღარ იყო, მაგრამ ხალხი მაინც თხოულობდა შესვლას. ჩვენ საბუთი არა გვქონდა, გვეთქო ბილეთები გაიყიდაო, რადგან ბილეთები სულ არა გვქონია და ხალხს ისე უშვებდით, მხოლოდ ვეუბნებოდით, რომ ადგილი აღარა გვაქვსო. მაგრამ ვინ დაგვიჯერებდა: აი, კუნჭულში მივდგებით, იძახდნენ. ამ გვარად თეატრი ხალხით გაიჭედა. წარმოდგენა ჯერ არ დაწყებულიყო, რომ განსვენებული ექიმი ნ. ა. ხუდადოვი მოვიდა. იმან გვირჩია, ფანჯრები დაგვეღო, რათა სუფთა ჰაერი შემოსულიყო (მაშინ სახაიეს გვერდზე დაბლა ფანჯრები ჰქონდა). გაღებულ ფანჯრებიდან ხალხი შემოგვეპარა და მინებიც დაგვიმტვრიეს. როგორც იყო, ხალხი შევიკავეთ და სახალხო თეატრში პირველად ფარდა აიწია.

და ეს დღე უნდა ჩაითვალოს სახალხო თეატრის დაარსების დღედ, ეს იყო 1893 წ. ენკენისთვე.

**გ. ჯაბაური**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

---

*) ეს ფული ამხანაგურ სალაროში გვქონდა მოგროვილი, ათშაურობით გადახდილი.

# დრამატ. საზოგად. წლიური კრება

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 35)

რა დირექტივები მიეცეს სათეატრო კომისიას?

**ი. გედევანიშვილი**—კრებამ კომისიას დირექტივები უკვე მისცა: ფულის შეგროვება, თეატრის გეგმის შედგენა, ადგილის შოვნა და ის წინასწარი სამუშაო, რომელიც თეატრის აღდგენის საქმეს შეეხება.

**პ. ა. გოთუა**. კომისიები, პროვინციებშიც უნდა მოეწყოს და მათაც სრული ხმა ჰქონდეთ.

**გ. დ. ჟურული**—კომისიის მოქმედების მიზანი ცხადია. რაც შეეხება დირექტივებს,—ეს თვით კომისიის შინაური საქმეა და ამაზე ლაპარაკი აქ ზედმეტია.

**შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი** (გამგეობის წევრი)—ყოვლად შეუძლებელია ასეთ დიდ კრებაზე დირექტივებზე ლაპარაკი როდესაც კომისია წინასწარ სამუშაოს დაასრულებს, მაშინ მოწვეულ იქნება საზოგადო კრება დრამატ. საზოგადოებისა, რომელიც დაადასტურებს, ან უარჰყოფს კომისიის ნამუშევარს.

**თ-დი პ. ი. თუმანიშვილი.** ყოველ წვრიმალზე ლაპარაკი ამ კრებაზე საჭირო არ არის. უნდა გამოვარკვიოთ მხოლოდ ერთი რამ. როგორ ვუცქერით ჩვენ თეატრს: როგორც ისეთს დაწ სებულებას, რომლითაც თავი უნდა მოგვქონდეს კულტუროსან ხალხად, თუ როგორც სკოლას. გულახდილად მოგახსენებთ, რომ თეატრის გადაწვის შემდეგ კარგად გამოირკვა ჩვენი საზოგადოების არა სასურველი დამოკიდებულება მშობლიურ თეატრთან: უბედურების შემდეგვე ორი წარმოდგენა გავმართეთ ზედი-ზედ, მოველოდით საზოგადოების ფართო თანაგრძნობას, მაგრამ სამწუხაროდ, წარმოდგენებმა მოსალოდნელი შემოსავალი არ მოგვცა. ჩვენ მეტის-მეტად შევითვისეთ რუსული კულტურა, ქართულს კი გვერდი ავუქციეთ. რუსულ თეატრში ხალისით მივდივართ, ქართულში კი—არა, და თუ მივდივართ, სიყვარულით კი არა, იძულებით, მოვალეობით, თეატრისატთვის მხარის დასაჭერად ჩვენგან 70 პროც. ასე იქცევა და ასე გრძნობს სხვა საქმეა ქუთაისში, სადაც რუსული თეატრი არ არის და, მაშასადამე, ხალხი ქართულ წარმოდგენებზე უნდა დადიოდეს. თუ თეატრს ჩვენ ვუცქერით როგორც სკოლას, მაშინ სხვა საქმეა და სათეატრო კომისიის დანიშნულება და მიზანიც იცვლება; მაშინ ჩვენ უნდა შევქმნათ სახალხო თეატრი, უნდა დავაარსოთ დრამატიული სკოლა და შევიმუშავოთ პიესების ტიპი. ჩვენი პიესები სულ თარგმანებისაგან შესდგება. უნდა ვიზრუნოთ ორიგინალურ პიესებისათვის. უნდა გამოვაცხადოთ კონკურსი. თუ მწერლები არ გვყავნან, ეს მეტად სამწუხაროა, რადგანაც ეს ჩვენი გადაგვარების მომასწავებელი იქნებოდა. საჭიროა, კრებამ თავისი აზრი გამოსთქვას.

**თავმჯდ. გ. დ. ჟურული**—თ-მა თუმანიშვილმა საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა, მაგრამ ყველა ამ სიტყვაში ნათქვამი სავსებით არ შეეფერება დღევანდელ კრების საგანს. მაგალითად რეპერტუარის საქმე. ეს კომისიის საქმე არ არის. ამაზე შემდეგს კრებაზე შეიძლება ლაპარაკი, ანგარიშის განხილვის დროს. რა სახისა უნდა იყოს ჩვენი თეატრი, დემოკრატიული, თუ დიდებულილამაზი,—ამაზე ლაპარაკი კი შეიძლებოდა აქ. ჩვენისთანა ღარიბ ერს როგორი თეატრი ესაჭიროება: ისეთი დემოკრატიული, როგორც ბერლინში მისდევენ, თუ სხვა,—აი ყველა ეს უნდა გამოირკვეს.

(კრების მონაწილეთ მოითხოვეს: ოქმში შეტანილ იქმნას, რომ კომისიის წინასწარ სამუშაოდ იგულისხმება: ფულის შეგროვება, ადგილის შოვნა, თეატრის გეგმის შედგენა და ყველა ის საქმე, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ქართულ თეატრის აღდგენასთან).

**ა. წუწუნავა**. გეგმის შესახებ კომისიას აქვე უნდა მივცეთ დირექტივები, წინასწარი ფარგლები გეგმის შედგენისა ახლავე განისაზღვროს.

**შ. მიქელაძე** (გამგეობის წევრი)—ეს კითხვა კომისიამ უნდა განიხილოს. იგი გადასწყვეტს, როგორი თეატრი გვინდა: დემო-

კრატიული, იაფი და დიდი, თუ სხვაგვარი. კომისიის ნამუშევარი საზოგადო კრებას მოხსენდება და მის უდასტუროდ არა გაკეთდება რა.

**ს. ტარუაშვილი**. აქვე უნდა დავადასტუროთ, რომ ჩვენ გვეჭირვება სადა და მოხერხებული თეატრი.

**პ. ა. გოთუა.** ჯერ ფული არა გვაქვს და რა დროს გეგმაზეა ლაპარაკი.

**პ. ი. თუმანიშვილი**. გეგმის გამორკვევა სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ ფული ვიშოვოთ ბევრს აინტერესებს განზრახულ თეატრის სახე და ამ სახის მიხედვით აპირებს ფულის შეწირვას.

**თავმჯდ. გ. დ. ჟურული**. გეგმის საკითხს მომავალში გვერდს ვერ ავუქცევთ, მაგრამ დღეს ასე ანაზდეულად მაზე ლაპარაკი მეტია, რადგანაც კომისიის ნამუშევარი შემდეგში ისევ თქვენთან დაბრუნდება.

**პ. ა გოთუა**. საჭიროა, კომისიამ გეგმის განხორციელებაზე საზოგადო კრების უდასტუროდ არავითარი ფული არ დახარჯოს.

**რ. გაბაშვილი.** სასურველი არ არის, დრამატიულ საზოგადოების გამგეობა სათეატრო კომისაში შედიოდეს. სადეპუტატო საკრებულოში მომხდარ კრებაზეც გამოითქვა ასეთი აზრი. გამგეობას თვით მოუსურვებია კომისიაში შესვლა და თავიანთი თავი წარმოგვიდგინა საუკეთესო პირებად. კრებაზე გამორკვეულ იქმნა, რომ კომისიის ქვეორუმი 15 კაცისაგან უნდა შესდგებოდეს და ამ თხუტმეტ კაცში გამგეობა, რომელიც 7 კაცისაგან შესდგება, მთელის საქმის თითქმის ბატონი იქნება

**შ. ალექსი-მესხიშვილი**. გამგეობის შესვლა კომისიაში უპირველესად იმ იურიდიულის მოსაზრებით იქმნა საჭიროდ აღიარებული, რომელიც უწყით. კომისიას ბ-ნი გაბაშვილი ახლავე ახვევს თავზე უსაქმობას და ამბობს, კომისიის კრებებს 15 კაცის მეტი არ დაესწრობა 45 კაცისაგანაო. კომისიას დიდი მიზანი აქვს, ამიტომ სრული იმედი მაქვს, რომ მხნედ იქმოქმედებს.

**შ. მიქელაძე**. გამგეობის წევრებს თავის თავი არ ამოურჩევია კომისიის წევრებად. კომისიის წევრად დასახელებულია გამგეობა, როგორც მთლიანი იურიდიული ერთეული. გამგეობის წევრებს ჩქარა სამსახურის ვადა გაუთავდებათ და წევრებად სხვა პირნი იქნებიან არჩეულნი. იქნებ თვით ბ-ნი გაბაშვილიც მოხვდეს ჩვენს შემდეგ გამგეობაში, თუ რასაკვირველია, იგი დრამატიულ საზოგადოების წევრად ჩაეწერება.

(კრებამ სათეატრო კომისიის სია დაამტკიცა)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ქართული სახიობა

**ქართ. დრამ. დასის ამხანაგობა** სახალხო სახლში შეუდგა მუშაობას და ოთხშაბათს, 5 ნოემბერს, წარმოადგინა ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, თარგ. ალ იმედაშვილისა. შინაარსიანი პიესა, სრულის ანსამბლით მოწყობილი წარმოდგენა, დიდძალი საზოგადოება, წარმოდგენის დროზე დაწყება, ადრე გათავება (თერთმეტი საათი არცკი იყო) და მოთამაშეთა ხანგრძლივი ტაშით დაჯილდოება—აი რითი აღინიშნა ქართ. დრამ. დასის მსახიობთა ამხანაგობის პირველი ნაბიჯი. ნინო ჩხეიძემ (ოლ-ოლ), ვ. აბაშიძემ (ფონ-რანკენ) და ალ. იმედაშვილმა (გლუხოვცევი) ხომ მთლად მოაჯადოვეს საზოგადოება თვისი ხელოვნური თამაშით მსახიობთ თამაშს დაწვრილებით არ შეუდგებით. ვიტყვით მხოლოდ რომ ყოველი მონაწილე—ალ. ყალაბეგიშვილი, ი ბეჟანიშვილი (ცოტა-კი ამღაშებდა) მ. ჭიაურელი, ი. ზარდალიშვილი გ. არაბიძე, ა. ქიქოძე, ნ. თოიძე და სხ.—ნაკისრ როლს დიდის დაკვირვებით და შეგნებით ასრულებდა. პიესის დადგმას აშკარად ემჩნეოდა რეჟისორის (ბ-ნ მ. ქორელი) ხელი და ლაზათი. თუ ნორჩმა დასმა ამ გზით განაგრძო მუშაობა, დარწმუნებული ვართ, ქართველი საზოგადოება მუდამ მხარს დაუჭერს.

**წ—ი.**

**ქუთაისის თეატრი.** მართალი უნდა სთქვას კაცმა დიდი მადლობის ღირსია ქუთაისის დასი და ამ მადლობას ტაშით და ფულით გამოხატავს დიდძალი დამსწრე საზოგადოება. სეზონის დაწყებისას ასეთ თანაგრძნობის იმედს საზოგადოების მხრით ყველაზე უფრო მეტი ოპტიმისტიც ვერ იოცნებებდა. ამის მიზეზია ერთის მხრით დასის შემადგენლობა და საერთო სულიერი განწყობილება. იმის თქმა, ვითომ რეპერტუარის ღირებულება იყოს დიდი,—შეუძლებელია, რადგან ჯერჯერობით ასეთი არაფერი გვინახავს. „ალლუმი", „ქრისტინე", „გაუბედურებული ოჯახი", „მთის ზღაპარი", „მეგობრობა" და სხ. პიესები ძველია; თითქმის გაზეპირებული აქვს ყოველ ჩვენგანს.

მაგრამ ამის მიუხედავად, რამდენადაც უწყობს ხელს ქუთაისის ღარიბი სცენა და ძლიერ უხერხული შენობა, ჩვენი დასი სასწაულს სჩადის. ყოველი პიესა იდგმება დიდის დაკვირვებით, სიქმის ცოდნით, მასიური სცენებით კარგად მოწყობით და საუცხოვო ანსამბლით. მართალია თითო ოროლა როლის გამფუჭებელი ურევია ყოველ საღამოს, მაგრამ ისინი საერთო შთაბეჭდილებას იმდენად ვერ აფუჭებენ, რომ წარმოდგენა სრულიად „წარმოუდგენელი გახადონ.

16 ოქტომბ. ვასო აბაშიძის გასტროლით გაგვიმასპინლდა ჩვენი დასი და დასდგეს კარგად ცნობილი „ალლუმი". ბ. იმხნელი (პეტრე რაინდაძე), ქ. ჯავახიშვილი (კნ. ბაბალე), ტ. აბაშიძე (კნ. ნუცა), ქ. დავითაშვილი (თამარი), ბ. ურუშაძე (ლუკა მწიფარაშვილი), ქ. მდივანი (ლიზა), ბ. გუნია (ღენერალი), შალიკაშვილი (მრუბუქაშვილი) და საღამოს გმირი ვ. აბაშიძე (ქარხალაძე), ყველა საუცხოვო იყო. ადგილი ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით ყოველ მათგანს შევეხოთ ცალცალკე და არც საჭიროა, რადგან კარგის მეტი არა ითქმის რა.

„დავას" მეორე მოქმედება ხომ გვირგვინი იყო მთელი საღამოსი. ვასო შეუდარებელი თარჯიმანი იყო; შალიკაშვილი გოდაბრელიძის როლში,—ნამდვილი იმერელი,— გუნია ხომ გოგოლის ტიპის მოხელე იყო და საუკეთესო მისი გამომხატველი.

19 ოქტომბერს წარმოადგინეს ბ. შალიკაშვილის „უპრეტენზიო კომედია", რომელშიც მთავარ როლებს საუკეთესო ძალები ასრულებდენ—ბ.-ბ. ვ. აბაშიძე, გუნია, შალიკაშვილი, ქ.-ქ. დავითაშვილი, ჯავახიშვილი, მდივანი. დიდი არტისტი პატარა, უმნიშვნელო როლშიაც ადვილად იცნობება. ვასო აბაშიძის როლი ამ პიესაში(ღენერლის როლს ასრულებ ა)არაფერს წარმოადგენს თავისთავად, მაგრამ ვასოს ღვთიური ნიჭი არაფრისგან პირველ ხარისხოვან რამეს ქმნის. შემდეგ თითო მოქმედება „მათიკო"—დან და ვოდევილი (ვ. გუნიასი) „არც იქით — არც აქეთ" მხიარულად ჩაატარეს. ეს წარმოდგენაც უნაკლულო იქნებოდა, რომ ჯერ ერთი, ბ. იმხნელს ისეთი ძლიერი ხმა არ ქონდეს, როცა ეს საჭირო არაა, მეორე ბ. ციციშვილსაც გაეხსენებია, რომ თეატრში ყველა ყრუ არაა და ქ. ჯავახიშვილს საუცხოვო თამაშობის დროს ტუფლების გამოცვლა არ დავიწყებოდა.

21 ოქტომბერს დადგმულმა „და ძმამ" ვერ დაგვაკმაყოფილა. თავიდანვე ცუდი ტონი აიღეს და ბოლომდე არაფერი ეშველა მის გამოსწორებას. ჩვეულებრივი იყო მხოლოდ ბ. მესხიშვილი გაიოზის როლში. ბ. მურუსიძე გიორგის პარტიას ჩინებულად უმასპინძლდებოდა, დანარჩენნი კი რაღაც უგულოდ თამაშობდენ, თუმცა ყველა როლს ღირსეული ამსრულებელი ყავდა. აქვე არ შემიძლია არ შევნიშნო, რომ „მეგრელია" რუსული სახელწოდებაა ოდიშის და არ მახსოვს ბ. გუნიას ეს სიტყვა ქონდეს ნახმარი პიესაში, როცა ოტია აქებს ოჯალეშის ღვინოს. მცირე ინციდენტიც მოხდა, რომელიც საბედნიეროდ კარგად გათავდა. როცა გაიოზი (ლადო) დასამალავად მიდიოდა, კიბეზე წაბარბაცდა და გადმოვარდა, მაგრამ ისე, რომ პიესის მსვლელობა არ შეწყვეტილა და ბევრს არც კი დაუახავს.

L,ami

**სახალხო სახლში** ტრ. რამიშვილს ბედი სწყალობს, მისი პიესები ზედი-ზედ იდგმება: 31 ღვინობისთვეს წარმოადგინეს „დედინაცვალი", სამშაბათს, 5 ნოემბერს „მეზობლები" (ამ სეზონში მეორედ).

ტრ. რამიშვილის პიესების განსაკუთრებული თვისებაა მაყურებელს ის განაცდევინოს, რაც მომქმედ პირთ სცენაზე პირდაპირ სავსებით არ გადმოაქვთ. განსაკუთრებით ბოლო დროის პიესებში ძუნწობს ავტორი დიოკლე გამოთქმებით, მარტივი სცენებით ჰსურს გადაგვიშალოს ადამიანთა სულიერი დრამა და სოციალური უკუღმართობა. ამიტომაც ფრიად საჭიროა, მისი პიესები დიდი სიფაქიზით იყოს ხოლმე მომზადებული, უმისოდ სათანადო შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. ამ მხრით ძლიერ სუსტობდა „დედინაცვალი". პიესის დადგმას ცოცხალი სული აკლდა. ზოგიერთ მოთამაშეთ თითქო ვერც კი შეეგნოთ—ვის და რას წარმოადგენდენ. თვისის მაღალ ხელოვნურის თამაშით საუცხოვო იყო მხოლოდ კახელი (ობოლი); კარგები და უფრო შესაფერისნი იყვნენ ელ. ციმაკურიძე (დედინაცვალი და ნინიძე (მალხაზი). როლების უცოდინარობაც ძლიერ აბრკოლებდა სცენის მოყვარეთა თამაშს.

სამაგიეროდ ძლიერ ხელოვნურად იყო დადგმული „მეზობლები". დიდი მადლობის ღირსია წრის გამგეობა და რეჟისორიც, რომ ხალხს ასეთი პიესებით უმასპინძლდება: ასე თუ იმოქმედა, უფრო მეტს მოიგებს ზნეობრივად და ნივთიერადაც. მოთამაშენი თითქმის ერთი მეორეს სჯობდენ: ანნა ჩირგაძე (წინანდელზე უკეთესად), ნ გოცირიძე, ვ. ნინიძე—საუცხოვონი იყვნენ. ვ. მინდიაშვილი (ირაკლი მარშანიძე) და გ. ჯაბაური (ილ. მენაბდიშვილი) ახლა უფრო მოხდენილად ასრულებდენ ნაკისრ როლებს. ს. ანკარა (ტასო) ხონელი (რომ. აღოლფ.), მატარაძისა (თამარი) მ. ქიაურელი (სოსიკო და მ. რომანიშვილისა დედა) სრული შეგნებით თამაშობდენ. მსახიობთა—პიერეტტასი და ი. ზარდალიშვილის მონაწილეობამ წარმოდგენის ცოცხლად ჩატარებას ძლიერ ხელი შეუწყო. ხალხი ბევრი დაესწრო და წესიერებაც არ დარღვეულა. პიესა დაიდგა კ. მათირიშვილის რეჟისორობით.

ერთი შენიშვნაც. გძელი მონოლოგები ძველი ნაშთია და მით უმეტეს მონოლოგის ხალხის მიმართ ლაპარაკი, შეუწყნარებელია. მსახიობთ დაივიწყონ, რომ პარტერში ხალხი არსებობს და იცოდენ, რომ იგინი ცხოვრების რომელსამე მხარეს ანსახიერებენ, საკუთარი ფიქრით და მისწრაფება-მდგომარეობით. **უსავანო**

**ავლაბრის სახალხო თეატრში** კვირას, 2 ნოემბერს ავლ. ქართ. სახ წარმ. მმარ. წრის მიერ ივანიძის რეჟისორობით წარმოდგენილ იქმნა სამხედრო ბანაკში". თუმცა პიესა შინაარსიანია და კარგი საყურებელიც, მაინც, ჩვენის აზრით, ორიგინალურ რეპერტუარს რომ მიაქცევდენ ყურადღებას—უმჯობესია. ხსენებულ წარმოდგენაში ხელოვნურად თამაშობდენ ბ. ივანიძე (ვახმისტრი), ქ. მარგველაშვილი (კლარა), რ. სალაყაია (კვაისი), სულთანიშვილი (ფონ-ლუკენი) და მ. ჯიბლაძე (ფონ-გევენ . კარგად და შეგნებით თამაშობდა თავდგირიძეც (გელბიგი), მაკრამ სამხედრო იერი აკლდა. ვურჩევთ დიქციასაც მიაქციოს ყურადღება. რევაზიშვილმა თვისი როლის უცოდინარობით ბევრი ზიანი მისცა წარმოდგენას, იცოდენ, რომ როლის უცოდინრად სცენის მოყვარის თამაში—დანაშაულობაა. დანარჩენნი ხელს უწყობდენ შეთანხმებულ თამაშს. საჭიროა, მეტი ყურადღება მიექცეს ტანისამოსების ჩაცმას და სახის ხატვას. აგრეთვე უნდა იცოდენ, რომ კულისებში წარ-მარა სიარული და მათი ხელების გამოჩენა შთაბეჭდილებას არღვევს.

ხალხი ბევრი დაესწრო, რაც გამგეობას ჯილდოდ უნდა ჩაეთვალოს; უფრო რჩეული საზოგადოება იყო, მაგრამ წესიერება მაინც ირღვეოდა. შიგა და შიგ წამოძახილი არ შეჰფეროდა თეატრს, და კარგი იქნება თვით ხალხმავე დაიცვას წესიერება.

თეატრი გამთბარი იყო და უკეთ განათებული, რისთვისაც გამგეობა მადლობის ღირსია **—ერი**

**ავჭალის აუდიტორია.** შაბათს, პირველ ნოემბერს ავჭალის აუდიტორიაში, წელს პირველად გამართეს ქართული წარმოდგენა დადგეს „არსენა" აღსანიშნავია ის სიყვარული თეატრისადმი, რომელიც აშკარად.ეტყობათ სცენის მოყვარეთ. დარწმუნებული ვართ, შემდეგში უფრო მუქაითად მოეპყრობიან სცენის მოყვარენი თავის საქმეს, უეჭველად დასძლევენ ნაკლს, რომელიც წარსულ წარმორგენის დროს ჰქონდათ. საჭიროა ამ აუდიტორიაში იმართებოდეს ხოლმე ქართულ› წარმოდგენები. მით უმეტეს რომ, სახალხო თეატრს პირველად აქ ჩაეყარა საძირკველი, და ხალხიც ბლომად დაესწრება.

მეტად ნასიამოვნები დავრჩით ვ. ლაშქარაშვილისაგან, რომელმაც ხალხს წარმოდგენის ბოლოში განუმარტა ის დრო, რომლიდანაც აღებულია „არსენა" მან აუხსნა ბატონ-ყმობის სიმკაცრე და ის, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვით მის გადაგდებაში ილია ჭავჭავაძეს დანიელ ჭონქაძეს და სხვებს.

აუდიტორიაში ბევრი ხალხი იყო. **დამსწრე**

## წერილი რედაქციის მიმართ

(„თეატრი და ცხოვრებას")

ცნობა, ვითომ მე გადამედოს თეატრის სადამაშენებლო თანხისთვის „სიმახინჯის" ჰონორარი, სავსებით ვერ უდრის ჩემს სურვილს, რომელიც მე კარგა ხანია მკაფიოდ განვუცხადე დრამატიული საზოგადოების გამგეობას.

გამგეობას ვსთხოვე ითავოს, მოაგვაროს და ყველგან—თბილისში თუ პროვინციებში,—სადაც-კი ჩემი პიესები (**ყველა** და არა მხოლოდ „სიმახინჯე") დაიდგმის, გადასახდევინოს, რამდენსაც-კი შესაძლებლად დაინახავს, სადამაშენებლო თანხისთვის

საინტერესო იქნება, დრო-გამოშვებით აცნობონ საზოგადოებას, თუ რა იქნება გაკეთებული ამ მხრივ. **ნ. შიუკაშვილი**

## წვრილი ამბები

**დრამ. საზ. გამგეობას** სრული ნდობა გამოუცხადა დრამ. საზ. წლიურმა კრებამ, რადგან ზოგიერთ წევრთ მოითხოვეს გამგეობის გ დადგომა.

**კ. ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტი** გაიმართება 23 ნოემბერს „არტისტ. საზ. თეატრში". გუნდი შესდგება 200 ქალ-ვაჟისაგან. ამ კონცერტზე, სხვათა შორის, შესრულებული იქნება დავით აღმაშენებლის იამბიკო (კვინტეტი კ. ფოცხვერაშვილისა).

**ღალატი" მსახიობთა ამხანაგობის** მიერ წარმოდგენილი იქნება ხვალ, 10 ნოემბერს, სახალხო სახლში.

**ანეტა კაპანაძისამ** შეჰკრიბა ხალხური შემოქმედებანი (ლექსები, გადმოცემანი, თქმულებანი, გამოცანები, ზღაპრები და სხ.) ლექსი—293, გამოცანა—33, თქმულება—29 და სხ. რომლის ხელნაწერი ჩვენს რედაქციას გადმოსცა. ამ ნაშრომს დრო გამოშვებით დავბეჭდავთ ჟურნალში.

**ახალი პიესის**, ვანო გიგოშვილის „შურისძიების", წარმოდგენის ნება დართო მეფის მთადგილის სამართველომ.

**მსახიობი ვალ. მუნია** გასულ კვირას ქუთაისიდან თბილისს ჩამოვიდა სათეატრო საქმეზე და სამშაბათსვე გაბრუნდა.

**ივ. პოლუმორდვინმა** გადასწყვიტა თვის მიერ ნათარგმნი იბსენის პიესა „ხალხის მტერი ანუ ექიმი შტოკმანი" ცალკე წიგნად გამოაცემინოს, რომლის წმინდა შემოსავალი ქართულ თეატრის აღსადგენ თანხას მიემატება.

**სად. მიხაილოვში**, როგორც უწყიან, რამდენიმე ხნის წინად, რუსული წარმოდგენის დროს დაიწვა ადგილობრივი რკინის-გზის კლუბი, რომელშიაც მოთავსებული იყო მშვენიერი სცენა დეკორაციებით. ამ ჟამად აღძრულია შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე კრედიტის გახსნის შესახებ ამ შენობის ხელ-ახლად ასაგებად უფრო კარგ გეგმაზე.

Дозволено военной цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

# ხარფუხის საზოგაო კლუბი

7 ოქტომბრიდან გადავიდა საზამთრო სადგომში, აბანოს ქუჩაზე

ტელ. 11 – 79

| | |
|---|---|
| დღეს, კვირას 9 ნოემბერს | პროჟეკტორი, მუსიკა. |
| ორშაბათს 10 ნოემბერს | პროჟექტორი. |
| სამშაბათს 11 ნოემბერს | მუსიკა. |
| ოთხშაბათს 21 ნოემბერს | საზანდარი. |
| ხუთშაბათს 13 ნოემბერს | მუსიკა; ცეკვა. |
| პარასკევს 14 ნოემბერს | საზანდარი; პროჟექტორი. |
| შაბათს 15 ნოემბერს | ქართული წარმოდგენა. |
| კვირას 16 ნოემბერს | მუსიკა; პროჟექტორი. |

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან მამაკაცები—25 კ., ქალები—10 კ. დასაწყისი

საღამოს $8^1/_2$ საათზე.

კლუბი ყოველმხრივ მოწყობილია.

კლუბში გაიმართება **ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტე- რატურო და ვოკალური საღამოები**

# ახალი ქართლი

მოიკითხეთ ყველა მეგაზეთეს- თან თბილისში გაზეთი **ახალი ქართლი**

გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ—ხუთშაბათობით და კვირაობით. ცალკე ნომერი ერთი შაური, დაკვეთით წლის დამლევამდე ერთი მანათი. ხელის მოწერა მიიღება: ივ. ავალიშვილთან, წ კ. გ. საზ. მაღაზიაში და გაზეთის თბილისელ აგენტთან —ვიქ. მექანარიშვილთან, დუშეთის ქუჩა № 21

---

# შექსპირი ქართულად!

## გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ **შექსპირის** რვა ტრაგედიის გამოცემაზედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი. მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, მორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადად: **პიელი შემოსატანი**—1 მან., მეორე—**პირველ ნოემბერს—1.** მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება **თბილისში**: ქართვ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მაღაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) „თეატრის და ცხოვრების" რედაქციაში (ქართ. თეატრში) და უთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.**




(წ.—34) 3—2

ექ. ვახტანგ ლამბაშიძის

## სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე

ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი ექ. ვ. ლამბაშიძე ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

## ექიმები:

**ა. ლ. იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)

შინაგან ავადმყოფობათა.

დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.

წყნეთის ქ., № 19.

**კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს

დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.

გოლოვინის პრ., № 12.

**ვ. დ ლამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.

ვარდის უბნის ქ. № 9.

**ნ. ე. თიკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებათა

დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.

კიროჩნი ქ. № 18

**შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.

საღამოთი 6—7 ს.

მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

**ზ. ფ. ნათიშვილი**

ანისა, ვენერიული და სიფილისის.

დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

**სინათლე** ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. **ი. გედევანიშვილისა**, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატით. **ფ. 30 კ.** ათობლივ და ასობლივ ნაღდზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი. Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Іосифу Имедашвили.

(11—11)

**ახალი წიგნი**

ლექსები, სცენები და მოთხრობები

**ა. მ. ახნაზაროვისა**

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. **60** კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., **№ 5**, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(6—11)

**22 აგვისტ. გამოდის ყოველდღიური**

საპოლიტ. და სალიტ. გაზეთი

## ახალი აზრი

**გაზეთი ღირს:** 1 წლით—7 მ., 6 თვით—4 მ. 3 თვით—2 მ. 50 კ., 1 თვით თბ.—80 თბ. გარეთ—90 კ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი.

**კანტორის ადრესი:** Тифлисъ, Орбеліановская ул. № 36

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:** Теофилу Марковичу Кекелидзе. Тифлисъ, Орбеліановская ул., № 36.

სხვა ადრესით ფულს რედ. ვერ მიიღებს რედაქციის კან. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილ. 12—1 ს., სალ. 5—6 ს.

## შრომა

**სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორშაბათობით.**

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი:** წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: **Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома“**

„ხორაპანი“-ს გამოცემა

**დაიბეჭდა და გამოვიდა** ქართველი მწერლები

**შედგენილი ი. გომელაურის მიერ, ნაწ. I**

ფასი 80 კ.

სტამბა „სორაპანი“ Типографія „Сорапань“